



Siège c/o Conseil de l'Europe
Avenue de l'Europe – 67075 Strasbourg – France

Ufficio in Italia
Viale Mazzini, 225 – 36100 Vicenza – Italia

Office in Brussels
Rue de Confédérés, 47 – 1040 Brussels – Belgium

პრეს-რელიზი

საერთაშორისო კონფერენცია ქუთაისში (30 ნოემბერი – 1 დეკემბერი) მომზადებულია ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციის, ევროპის საბჭოს, გერმანიის ტექნიკური დახმარების, ადგილობრივ თვითმმართველობების ასოციაციისა და ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს მიერ.

თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაციებს შორის ეხმარება სამხრეთ კავკასიას ევროპასთან დაახლოებაში

იმერეთის მხარის გუბერნატორი ბატონი ლაშა მაქაცარია, ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობების კონგრესის დირექტორი ქალბატონი ანტონელა კანოლატი და ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციის პრეზიდენტი ბატონი პერ ვინტერი გახსნიან საერთაშორისო კონფერენციას “თანამშრომლობა ადგილობრივი ხელისუფლების განვითარებისათვის სამხრეთ კავკასიაში”, რომელიც გაიმართება ქალაქ ქუთაისში 30 ნოემბერს – 1 დეკემბერს.

საერთაშორისო კონფერენცია მომზადებული და მხარდაჭერილია ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციის, ევროპის საბჭოს, გერმანიის ტექნიკური დახმარების, ადგილობრივი თვითმმართველობების ასოციაციისა და ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს მიერ.

კონფერენციის მუშაობას შეაჯამებენ ბატონი გაუნტერ კრუგი - კონგრესის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, ბერლინის წარმომადგენლობითი სახლის წევრი და ბატონი პერ ვინტერი - ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციის პრეზიდენტი.

ეს არის რიგით მეორე კონფერენცია ქუთაისში, რომელიც ტარდება “ადგილობრივი დემოკრატიის მხარდაჭერა სამხრეთ კავკასიაში” პროექტის ფარგლებში, რომელიც მომზადებულია ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობების ასოციაციის მიერ და სარგებლობს ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობების კონგრესის მხარდაჭერით.



+333 90.21.45.93 +39 0444.54.01.46



+333 90.21.55.17 +39 0444.23.10.43



antonella.valmorbida@aldaintranet.org



Siège c/o Conseil de l'Europe

Avenue de l'Europe – 67075 Strasbourg – France

Ufficio in Italia

Viale Mazzini, 225 – 36100 Vicenza – Italia

Office in Brussels

Rue de Confédérés, 47 – 1040 Brussels – Belgium

პროექტის მიზანია მოახდინოს ფოკუსირება იმ საკითხებსა და საჭიროებებზე რაც სამხრეთ კავკასიაში ადგილობრივი ხელისუფლების განვითარებისათვისაა აუცილებელი.

“ჩვენ გვჯერა, რომ თანამშრომლობა და გამოცდილება რომელიც შეგვიძლია შევთავაზოთ ევროპის მუნიციპალიტეტების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა პარტნიორების ქსელის მეშვეობით, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადგილობრივი ხელისუფლების განვითარებას სამხრეთ კავკასიაში” განაცხადა ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციის პრეზიდენტმა ბატონმა პერ ვინტერმა.

“თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანია არამარტო ადგილობრივი ხელისუფლების განვითარებისათვის სამხრეთ კავკასიაში, არამედ ასევე ამ რეგიონის ქვეყნების ევროპის მუნიციპალიტეტებისათვის უკეთ წარსადგენად. ორმხრივი ურთიერთობები ხელს შეუწყობს სამხრეთ კავკასიის დაახლოებას ევროპასთან” აღნიშნა ქალბატონმა ანტონელა ვალმორბიდამ, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციის დირექტორმა.

კონფერენციის დროს შვიდი ევროპული ქვეყნის ადგილობრივი ხელისუფლებისა და ასოციაციების წარმომადგენლები გაგვიზიარებენ თავიანთ გამოცდილებასა და იდეებს.

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციისათვის მუშაობა სამხრეთ კავკასიაში არის ძალიან მნიშვნელოვანი და წარმოადგენს ორგანიზაციის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს. მიმდინარე წელს ასოციაცია აქტიურად იყო ჩართული აღმოსავლეთ თანამშრომლობის პროცესში და მომზადდა საფუძველი სამხრეთ კავკასიაში სამოქმედო არიალის გაფართოებისათვის. “ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო” უკვე 4 წელია წარმატებით საქმიანობს ქუთაისში და ასოციაცია მზადაა ახლო მომავალში სააგენტოების გახსნისათვის სომხეთსა და აზერბაიჯანში.

29 ნოემბერი 2010, ქუთაისი

ადგილობრივი დემოკრატიის
სააგენტოების ასოციაციის
პრესს სამსახური



+333 90.21.45.93 +39 0444.54.01.46



+333 90.21.55.17 +39 0444.23.10.43



antonella.valmorbida@aldaintranet.org